

1  
1958

— დიდი მზიარული ცხვრები ჰყავს ჩვენს კოლმეურნეობას,  
ყოველ ზაფხულს იკრიბებიან.

ნახ. ა. კანდელაკისა

ქართული  
ბიბლიოთეკა




№ 13 თბილისი ივლისი 1958

**ბიჭ**

ბათუმის XXXVI ველი ფანი 2 მან.





# ჩი პი პი


საქართველოს სახელმწიფო სამთო ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლ ზიორგის-ძე გამხსარაუფილს

ვინ მოსთვლის რამდენ მონასტერს. რამდენ ციხეს; რამდენ სასახლეს შეუდგა მხარი მარნეულის ღვაწლმოსილი ბაზალტის საბადოს გულიდან ამოღებულმა გათლილმა ქვებმა და ახლაც ხომ იშვიათად მოიძებნება ისეთი მშენებლობა, რომელსაც დასამშენებლად არა ჰქონდეს შემორტყმული ბაზალტის საფარი, ჩვენს წალკოტივით ბალებსა და გაზონებს, გზებსა თუ მოედნებს მარნეულური არტახი მიუყვება გვერდით და სახოვანება მისი ატკობს მაყურებლის თვალსა და გულს.

— ძალიან კარგი და სასიამოვნო, — იტყვით ალბათ, პატივცემულო ანატოლ, — იმრავლოს და იზარდოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! — მეც სწორედ ამ აზრისა ვარ, ასევე ვიტყვით, რომ ამ რამდენიმე დღის წინ მარნეულში არ ჩავსულიყავი და საკუთარი თვლით არ მენახა ის სურათი, რომელსაც ჩემი იქაური კეთილისმყოფელები წერილით მატყობინებდნენ.

ჩასვლისთანავე გამახარა საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მარნეულის კარიერების ახლებურმა სახემ, იმ მძლავრმა ექსკავატორებმა და ბულდოზერებმა, ამწე მანქანებმა და კომპრესორებმა, რომელთა სიუხვე ყოველთვის პროდუქციის გაიარებასთან არის დაკავშირებული. აი, ალბათ, ასეთ მანქანებზე ამბობენ: ქვასაც წვეს გამოადენსო, ქვაზედაც კი საზრდოს იშოვნისო, ქვასაც კი გააღვიძებსო. ასეთ ჯანღონით სავსე წარმოებას თავისუფლად შეუძლია არათუ

საქართველოს, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკების მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს. გავიხარე და ვისიამოვნე, მოვიწონე და შევაქე, მაგრამ სინარული ჩემი მოკლე აღმოჩნდა. ნასიამოვნებმა თვალი მიდამოს მოგავლე და მის გვერდით ისეთი უსუსური, დაჩაჩანაკებული, დაქუცმაცეებული საფეხურები დავინახე, რომლის მსგავსიც ჯერ კიდევ პირამიდების



მშენებლობებზე არ უნახავთ ჩემს წინაპრებს. მისი დანახვა ქვასაც კი ააღულებდა და აატირებდა.

თურმე იმ საბადოს, რომლის სახეც თქვენთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, პატივცემულო ანატოლ, ოცამდე ორგანიზაცია ადენს წვეს, მათ შორის კი პრივილეგიური უფლებებით სარგებლობენ: მარნეულის ადგილობრივი მრეწველობა, არტელი „ქვისნაკეთობა“, თბილისის საბჭოს საგზაო მშენებლობათა სამმართველო, კავშირალურგმშენის კარიერების სამმართველო, სამგორწყალმშენი, საკოლმეურნეო მშენებლობათა კანტორა. ამ რიცხვში არ შედის ყველა ის კერძო ხელოსანი და საქმოსანი, რომელთა მოღვაწეო-

ბაც ზოგიერთ შემთხვევაში ქეჩოს ფხანითა და ღრმა ამოხვრით თავდება ხოლმე.

დასჭირდება რომელიმე ორგანიზაციას ბაზალტის ქვის ნაკეთობა და ბაზალტის კარიერების სამმართველოსთან ხელშეკრულების დადების ნაცვლად იშოვნის ორ ჩაქუჩს, სამ სატეხს, იწყებს მუშებთან ვაქრობას, იძლევა დაპირებას: ამას ვიზამ, იმას ვიზამ, ცივ ქვაზე დავასახლებ, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, და სხვა ამისთანების ძახილის შემდეგ ორგანიზაციის სახელით მონათლავს და ატყდება ჩაქუჩების კაკუნი. მართალია, ზოგიერთ მათგანს საქმის დავვირგვინებამდე აღმოხდება სული, მაგრამ ზოგი გულს არ იტეხს და ახალ-ახალ წარმოებას აყალიბებს ამ ისედაც მრავალტანჯვამოვლილ საბადოზე. სწორედ ამიტომაა, ძვირფასო ანატოლ, მარნეულის კარიერების სამმართველოს შექანიზირებული წარმოების ქვისნაკეთობანი გაუსაღებლობით რომ ობდება, ხოლო მშენებელი ორგანიზაციების მიერ მამასისხლად ნაშრონი ქვის ნაკეთობა მშენებლობის სართულებისკენ მიიკვლევს გზას.

ამავე მიზეზის: დახურდავების, დაქუცმაცების, დაწვრილმანების გამო, ჩვენი წარმოებები ჯერ კიდევ არ არიან შექანიზირებული, გამსხვილებულნი, ჯერ კიდევ ძვირია ჩვენი მარმარილოს, ანდეზიტის, გრანიტის, სიენიტის და ბაზალტის ყოველი კვადრატული მეტრი. სიძვირის გამო, რაც მეტი ღროვადის, მით უფრო შორდება ჩვენი მშენებლობების ხარაჩოებს ეს ბუნების საამაყო

და მშენიერი სიმდიდრენი, უფრო და უფრო ხელმიუწვდომელი ხდება ჩვენი ყოველდღიური მოთხოვნილება ბისათვის, ჩვენი ქალაქების და სოფლების გამშენიერებისათვის.

მართო ეს მიზეზი რომ ყოფილიყო, არ შეგაწუხებდით, საყვარელო ანატოლ, მაგრამ ამ ბოლო დროს მოღად იქცა იშვიათ და მდიდარ საშენ მასალათა საბადოების გამოლრუტვინა და აოხრებანი ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომელთა ცოდნა, შესაძლებლობა და გამოცდილება სრულიად არ შეესაბამება მათს პირდაპირ შრომით საქმიანობას. ჩვენი მდიდარი საბადოების მომავლის ბედმა იძულებული გამხადა თქვენი ამქვეყნიური არსებობა გამეხსენებინა და მეტქვა, რომ ასეთი და მისი მსგავსი საბადოები პანტისა და ქაფალოს მსგავსად არ უნდა იბერტყებოდეს ყველა მცოდნის თუ არამცოდნის მიერ, არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისი სურვილით გააყრვეინოს მკვებე და მწიფე ნაყოფი ერთად.

იქნება მითხრათ, მე ბრძანებთაც ვაფრთხილებული მყავს და ინსტრუქციებიც საკმარისად მაქვს დაგზავნილი ყველა შემთხვევაში ორგანიზაციებისადმი. თუ მართლა ასეა, მე ჩემს წერილს მთელი მსოფლიოს რაინდთა გვირგვინის დონე კიბოტი ლამანჩელის წერილით დავამთავრებდი, რომელიც მან კუნძულ ბარატარის გუბერნატორს საჩირო პანსას გაუგზავნა ამ რამდენიმე საუკუნის წინ: „ბევრი ქალაქისა და ბრძანების წერას ნუ მოჰყვები, ეცადე შენი წერა და ბრძანება მართო საქმეს შეიცავდეს, მეტადრე კიდევ იმას ეცადე, შენი ბრძანება უთუოდ აღსრულებულიყოს. თუ არ იქნება, ჯობს არც კი რამ უბრძანო. ბრძანების აუსრულებლობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გამგეს მათ გამოსაცემად საქმათ სიბრძნე და უფლება ჰქონია, მაგრამ საქმათ გამგებლობა და ძალა ჰქვებია მათ აღსასრულებლად“.

პატივისცემით ნიანგი



# მკვლელები



ამას წინათ, მაგარი ტექა-ქუსილი რომ იყო, მაშინ დაიბადა ჩემი ბიჭი.

... იმავე დღეს ვეცი რკინის ალაყაფიან დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის კვლევით ინსტიტუტს, მაგრამ რა გამოვიდა, — გინდა ეცი, გინდა თავი ახალე, შექარყინულად ჩამოვლენი კარისკაცთან, რა არ ვაძლიე, მაგრამ გაგიგონია? ბოლოს ტირილი მომერია:

— მამა ვარ, გესმის? ბიჭის მამა.

— ბატონო, აქ საშობიარო სახლია და, ან ბიჭი უნდა გაჩნდეს ან გოგო, მაგით გინდა გამაკვიროვო? — მომახალა კარისკაცმა. არაფერი გამოვიდა.

... რამდენიმე დღის შემდეგ, მეუღლეს სიცხე მისცა. ამ მიზეზით საშვები მომცეს და მალე თეთრ ხალათში გამოწყობილი მეუღლის საწოლთან გავეჩნდი.

ბიჭის ნახვისათვის სული მძვინვროდა და აგერ მართლაც ერთმა ღვთისნიერმა ქალმა არ შემომიყვანა?!

— ჩემი შვილი! — წამოვიძახე და ცრემლი მომერია. ექიმებისაგან გამიგონია, რომ ბავშვი პირველ დღეებში თავდაყირა ხედავს საგნებსო, ჩემი მემკვიდრეც, ალბათ, უკულმა მხედავდა და კინალამ თავდაყირა დავდექი, რომ შვილს მამაზე პირველი წარმოდგენა ნათელი ჰქონოდა. გახსნეს ბიჭი და რას ვხედავ? ბიჭს კი სწორად ვხედავ, მაგრამ პერანგი? ნუთუ მეც უკულმა ვხედავ... ბიჭს პერანგი უკულმა ეცვა. თვალები მოვიფშვინიტი.

— უკულმა აცვია? — ვიკითხე გაუბედავად.

— დიას, უკულმა! — მიბასუსხეს ღიმილით.

პალატიდან გამოსული, მარგარიტა სტეფანეს ასულ ნიკოგოსოვას შევხვდი.

როცა ახალშობილების პერანგების შესახებ ვკითხე, სახე მოელუშა.

— არ ვიცი რა ვქნათ, პერანგები ნარმისაგან არის შეკერილი, ნაკერები ისეთი უხეშია, რომ მისი წალმა ჩაცმა შეუძლებელია. ამიტომ იძულებული ვართ ჩვილებს პერანგები უკულმა ჩავაცვათ! რა ვქნათ, ასე გვემარაგებენ. პრეტენზია სხვაგვარი გვაქვს. საჭიროა, ახალდაბადებულთა პერანგებს სახელოები გრძელი ჰქონდეს, ბოლოები გამოკერილი, მაშინ ბავშვებს ხელებს აღარ ჩავუკრავთ, აღარ შეგვეშინდება, რომ ჩვილმა საკუთარი ხელით სახე არ დაიზიანოს. საფენებიც უხეშია, ბავშვებისათვის საბნები არ გვაქვს — არც საწაფხულო და არც საწამთრო. ახლა დედების პერანგებს არ იკითხავთ? გაწამებული არიან დედები. ყველა პერანგი ერთი ზომისაა, ზოგს ჩოხასავით აქვს და ზოგს ანაფორასავით. წამოსვლისას მთავარ ექიმს, დარბაისელ მამაკაცს სურათიონ მარგველაშვილს ვეწვიე.

— ბატონო, ვაქცავი უკულმა გამომიწყვეთ?

— რა ვქნათ, ჩემო კარგო, ასე გვემარაგებს ჯანმრთელობის სამინისტრო, — მითხრა შეწუხებულმა.

... საავადმყოფოდან გულზე გამსკდარი გამოვედი. ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა. დროდადრო მეჩვენებოდა, რომ სუფთად ჩაცმულ ხალხს ტანსაცმელი უკულმა ეცვა. უცებ ვინატრე: რა იქნება, თვითონ იმ ხალხს, ვინც სამშობიარო სახლებს ასეთი ტანსაცმლით ამარაგებს, სამოსი ისეთი ჯვალოსაგან შეუკერონ, რომ იძულებული გახდნენ უკულმა ატარონ!

ჰო, ჰო, რამდენს იციანებდნენ ახალშობილები!

რ. დვალისვილი

ნახ. ნ. მაღალნიასი



— შეყვარებულის როლებს სცენაზე რომ კარგად ასრულებ, ხახლში რაღა გემართება?

**სარაჩოსაიით მამოგველუ!**

ათი წელი ერთკა ხარაჩო ერთ სახლს და ახლა საქმე ისე იდგა, რომ, თუ ხარაჩოსაც არ გაარემონტებდნენ, სახლის რემონტის საქმეს ჩაილურის წყალი უნდა დაეღია.

იმ სახლში ერთი წარბეზომივილდული ქალიშვილი ცხოვრობდა. ბევრს ეჭირა მისკენ თვალი, მაგრამ ერთი ვაჟი კი ნამდვილად მეჯუნსივით იყო შეყვარებული. რა არ იღონა, მაგრამ ქალიშვილი სულ ცივი უარით ისტუმრებდა.

ბოლოს, რაღაც ბედად ნასროლმა ქათინაურმა: — ხარაჩოსავით შემოგველეო, — სასწაულებრივი ძალა გამოიჩინა, ქალიშვილს თვალები გაუბრწყინდა და ვაჟს განუცხადა:

— თუ ისევე ხანგრძლივად გეყვარები, როგორც ამ ხარაჩოებს ეს სახლი, თანახმა ვარ, გამოგყვებიო.



ძარაშობი



# ხეზენი



ჩემს მავიდაზე დღეს მეთოდ გამოცემული, „მამანერკასავით“ კრებულად უნდა ჩასული წიგნი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: ძმას, მგებობას, გულსაღმდის, კარგ პოეტს, ნიჭიერ პრიზაჯოსს, თავმდაბალს, მეცნიერებს ყველა დარგით გატაცებულს, ლიტერატურის საკუთრებულზე ზეარაკად მიზნადილი ავტორისადან 1958 წ. 5/11. თბილისი.

დღეს ჩემი წიგნის გარეგანად, თუ მძაბარ, მოსულა არ დავაფიქსებ, ხომ იცო, წიგნი აზრი ყველაზე უფრო მანერკასავით.

წიგნი, რა თქმა უნდა, წაყვავიბე. ვარჩევი, რა თქმა უნდა, არა წაყვანი, მაგრამ, რაღაც ამ წიგნის ავტორს ჩემი აზრი ყველაზე უფრო ანტერესებს, მოვახსენებ:

ჩა არის წიგნი? წიგნი თავისთავად არაფერი არ არის. მითვარია, ამ წიგნი რა არის.

ერთი საინტერესო გარემოება ახასიათებს წიგნს. კვერკველი და მათის გაჩენის არ იყო: თუ წერა-კითხვა არ მსურდა, წიგნს ვერ დავწერე, თუ წიგნი არ ითხოვდა, წიგნს ვერ იმსახვლი, რაც სრულადილი არ ნიშნავს იმას, რომ, ვინც წერა-კითხვა იცის, ყველაზე უფრო. ერთი უბედურება მაინც ჰქონს, მისი წაყვითის უფლება ყველას გავაქვს. უბედურება-მეთქი, მიტომ ვამბობ, რომ აღაშინა ამ კანონიერ უფლებას გამომცემლობის ბიროტად იყენებენ.

ისევე კვერკვის და მათის გაჩენის ამბავი მინდა ვიგახსენო; რას ვგადაღვს წიგნი? წიგნი ვგადაღვს მონორარს. რას ვგადაღვს მონორარს? მონორარი ვგადაღვს წიგნს. მას რომელი უფრო ადრე განიდა-წიგნი თუ მონორარი? ამას სვეტიცხოველი განაგონა სტორიდა და მე ვერ გავართმე თავს. ერთი თუ ცხადია, წიგნიც და მონორარიც ციდან არ ჩამოცვენიდა და არც ხეს გამოუბნა. ისინი გამომცემლობაში განიდა. როდის და როგორ, არ არის საინტერესო, მაგრამ საინტერესოა—რამდენჯერ შეიძლება ერთი იდვიდ წიგნის გამომცემი მაშინ, როდესაც კვიპირველი გამოცემაც არ გასალბებულა და არც ვგასალბებ?

უფრო საინტერესო იქნება, თუ წიგნის ბაზარს ერთი წუთით ისე წარმოიდგენი, რომ აირიც საყოფიერო ნაზარს.

თუ თქვენი გამოცემაში მეთუღმე ბაზარში და დავაბარათ კარგი წიგნების შექმნა გამომცემლობის ლიტერატურული მადის მოსაყვებად. შეიძლება ბაზარში. დასულ ყოფილი უმარაგი სხვადასხვა ფორის, სხვადასხვა ზომის და წონის წიგნი, ღირსი დაღს უკან ვგადა წიგნების ავტორი და მუშაობის უღანს. ჩაუარეთ რომელიმე რიგს, ვნახათ რა სუროთი დატრიალებენ.

- ამა ლექსები, კარგი ლექსები!
- რა ღირს კიანა?
- კონა მანეთნახვარს.

ნან. ნ. მალაზიანიძე



— ჩემმა დირექტორმა თავის მოადგილეს ადგილი ისე დაუთმო, ერთი საღამოდაც ხიტიყავ. არ უთქვამს მასზე.

— ეს როგორ?

— დაწინაურებს.

— მოპარული ხმ არა გავქვს, ასე იფიქრომ ერთი!

— როგორ გვეჩვენებ, მეტყვარება, თორემ...?

— გუშინ ერთი სტიცი უიდა ზუსტად მასეთი ლექსები.

— ლექსი ლექსად, შე კაი კაი, ახლა შენთვის სხვაინა ლექსს ხომ არ დავწერე?

— წიგნი ერთი ქარაა უფრო.

— შენი რომელ ქარაშია?

— „სახეამის“

— მო, მე „სახეამი მწერლსა“ მინდოდა.

— ერთთა მივიჩიე, ჰა, იყო, მუღარ მებავებები!

— კარგი, ამა, ღირს ამოვარჩე.

— რა უნდა ამორის, ისედაც რეკლამა.

უცემ ბაზარში შექმნა უფროი ღირსეული, კრიტიკოსს ვივსა მითარეს ყურით.

- რაშია საქმე?
- მითობარბა მუპარავს და ზედმეტ ფასებში ყიდის.
- აი, აი, აი, შენი სიტუების მოპარვანი მუგადი შეჩვენულ ახლა მითობარბების ქურღირება დაიწყო... უცე კრებულს ამ ხნის კაცს, ახალგაზრდას მეთვს.
- რაღომ ამავა, ამანავა?
- კაცო, არ მოპარავს, მაშინაი...

— წაიღე და სხვანად გაუიღე, აქ არ დავანახოს ჩემმა თვალბაზა... უჯავრდება კრიტიკოსი.

— სათაური გამოცემაზე და თარგმნი.— ურჩებს ვივსა.

— ახლა სხვა რიგში ჩაიარეთ.

— ვერ, ბატონო, კარგი მსუქანი პირობა!

— კაცო, ამ წიგნს პირობას სანამ მტრული არ დავსვავ, აღარ ვივარჩიო სხვა სანიტარო, როგორ აძლევდნენ ასეთი პირობების გაყვადის უფლებას?

— ნუ ყვირთ, თუ არ გინდა, ვაისიერე.

ბეჭდვად ამის, ესე იგი, კარგია.

- ამა ავით, მარბათიფი ლექსები!
- რა ღირს, მგებობარო?
- ჯერ განსწავ.
- თუ, მეტი რეკლამა გავარჩევია.
- ამა უნდა და, უწულოს თუ იშოვი, იმასაც ვნახავ.
- მითობარბები, ახალი მითობარბები, ამა ვაიფიდა, აღარ დარჩას!
- არა გეტყვინა, ტუტოს რომ კადრულა, მარბანაც მაგ მითობარბებს არ ყიდდენ!
- ღირსთა კარგად მამუღისი და ვაისადაც ვაფიდა, რა შენი საქმეა!
- კაცო, შენ რს რომანი ვიღარ ვაისაღე?— გუთობები მაღანად ძველ ნაწინობს, რომელიც ერთსა და იმავე რომანს ათი წელია ყიდის.



ჯგვამი ლუბანა

## ნიუსბორი კომუნისტი ნიუსპორი

**გამოცანა № 1** ქ. თბილისში მუქარქელს სასახლის გზაში ერთ საღამოზე ამბროთული ერთობიანობა ქვის სვეტი, რომელიც ერთი მხარეზე წერია: „ისინი სწავნიან ძე დავითაწილი 1850—1899 წ., ხოლო მეორე მხარეზე—ქინა მარბარე დავითის ასული ჯგვამისა 1833—1895 წ.“

**გამოცანა გვეკითხება:** 1. ბოლო და კიდევ რამდენი მიწვეულები სსრკ-ის დავითი დავითის ასულია?

2. მერამდენჯერ უნდა ვივსავს ეს კითხვა?

**პასუხი:** ევ არ არის თქვენი საქმე.

**გამოცანა № 2** ქ. თბილისში, იქ, სადაც ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩები ერთდება, ვაშენდა, დანგრია, ვაშენდა, დანგრია, ვაშენდა, დანგრია ერთი მრავალი საცხიტიროლა გაზონი, რომელზეც ათობილი მუშა, ავრონიში, ქვისმეტეული, ინჟინერი, საქონლმარობეული და წყლის გამყვანი მუშანა.

**გამოცანა გვეკითხება:** რა დაუღებოდა ბოტანიკური ბაღის მშენებლობა, თუ ეს გაზონი ასე ვიგორ დაუდა და რომდმე გაგორდებდა ამ გაზონის გარშემო ტრანშეებისა და ლაბირინთების გათარა?

**პასუხი:** ამ გამოცანას პასუხი არა აქვს.

**გამოცანა № 3** ქ. მარბარეში სუფის პირას არსებობს ბაილეთის ჩაის ფაბრიკა, რომლის მიერ დამუშავებულ ჩაის მთელი მსოფლიო სვამს. „საქმას“ ტრესტის 5 წლის წინ დაიწყო აქ მუშების საერთო საცხოვრებლის მშენებლობა და იგი სახუთავადელ მიიყვანა.

**გამოცანა გვეკითხება:** 1. კიდევ რამდენი წელია საპირო იმისათვის, რომ ეს შენობა დაინგრეს?

2. „საქმას“ ტრესტის ხელმძღვანელები, როცა ამ მუშების მიერ

დამაზღებულ ჩაის მიორბევენ, თუ ფიქრობენ ამავა?

**პასუხი:** ისე ვარბი და ბეტირთული, ფიქრის ღრო არ ვგერჩენა.

**გამოცანა № 4:** ზუსტადილი არსებობს ბონდის ხილი, რომელსაც კბილები, დაძველებული პიანინოს კლავიშებივით აქვს ამოყვანილი. ამ ბონდის ხიდის მავიერობას წელწინაზე მეტია სწენს ნავი, რომელსაც მავიერობი 50 კაიკად ვადაყვანს. არიან მავიერები, რომლებიც ვადასვლია 2 მანეთსა კი ამალევენ.

**გამოცანა გვეკითხება:** რომდმე შესძლებს ნავი ხიდის მავიერობის უწევას და რამდენი მავიერი უნდა ვადავიდეს ნავით დანარჩენე, რომ შეგროვდეს ის თანხა, რომელიც საპირო იქნება ბონდზე ფიქრების გასაღებლად?

**პასუხი:** ვივსა ევ მოსწონის, ფხვადევე ვაიფიდას წელია.

**გამოცანა № 5** ქ. ზესტაფონის კინო-თეატრ „საბარტის“ ერთ-ერთი კინოსურათის საყარო-ივს უთარგმნია: „ტილია უღწმინდევის თავდადასავალი“. მათვან დამოუ-

კიდებლად ასევე უთარგმნიათ ამ კინოფილმის სათაური რიბატურნიცი.

**გამოცანა გვეკითხება:** როგორ იქნება ამ კინოს სათაური რუსულად და ვინ თარგმნა იგი ქართულად?

**პასუხი:**—უი, ეი, ვინ მომამაჟა ამდენი რუსული!

**გამოცანა № 6:** თელავის თეატრმა გერჯავანი დავა ნანუსტორების პიესას „წიწნაწიწი“. პიესის დაწყების წინ გამოიჩინა, რომ აკაცი წერეთლის როლის შემსრულებელმა მასხიბით საღამო დაიკარგა. რეჟისორის ოპორტუნობითა და გამჭრიახობით პიესიდან სასწრაფოდ იქნა ამოღებული აკაცი წერეთლის როლი. სმეტაკული ბრწყინვალედ ჩაიარა.

**გამოცანა გვეკითხება:** 1. რაღა საპირო პიესაში თუნიდა ოლი ჰაჰეჰეჰე, თუკი პიესა უკავიერეთლიდაც ითილად ვაღას?

2. როდის დაღვამს თელავის თეატრი აკაცი წერეთლის ცხოვრების ამსახველ პიესას, რომელშიც არ ითილამეს ოლი ჰაჰეჰეჰე?

**პასუხი:** ჯერ საღ ხარ, კოტე აცალე!



## გვარითან პარტიის

ხარტონიც ექიმი იყო და მარიამიც, ყველაფერი კარგი გააჩნდათ: სამსახური გინდა თუ სახლ-კარი. ამ დღით მომადლებულ სიკეთესთან, ცოლ-ქმრობაც ისეთი ტკბილი ჰქონდათ, რომ, როგორც იტყვიან—არც თვითონ უღრენდნენ ერთმანეთს და არც ძალი უყვებოდა მათ ბედს.

ერთხელ მარიამმა ბედს შესწივლა: ზოგს ტყუპ-ტყუპად უჩნდება ბავშვი მე რა დანაშაული მიმიძღვის, რომ ერთი ღლაპიც არ გამაჩნიაო. ხარტონმაც გამოთქვა გულის ტკივილი. მერე კი დაასკვნეს: გოგო-ბიჭი ავიყვანოთ და გავზარდოთო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. ერთ მოდრუბლულ დღეს ოჯახში ქალ-ვაჟი ატიტინდა.

ოჯახში ბავშვების გამოჩენამ ახალი პრობლემა დააყენა ცოლ-ქმრის წინაშე: ორივენი ვმსახურობთ, პატარებს აღმზრდელი უნდა მოვუნახოთო. და აი, ხარტონიც გაუდგა გზას ამ საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად. მიდის და ათასგვარი ფიქრი უტრიალებს: აღმზრდელი... ოჯახის ახალი წევრი... როგორი უნდა იყოს იგი?... უპირველესად ხელმრუდობის სენით არ უნდა იყოს დაავადებული... განათლებაც უნდა ჰქონდეს, იყოს თავაზიანი, კულტურული და, რაც მთავარია, ახალგაზრდა და ლამაზი...

ნახ. გ. მახარაძისა



— ჩვენს გადაღებულ ცუდ კინოს რომ ვნახავ, ჩემო რაედენ, ერთი წლის სიცოცხლე მაკლდება.

— აბა მალე გადავიხდებიან შენი გარდაცვალებიდან 30 წლისთავს!

ხარტონს ულვაშებში ჩაეცინა და ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

«ეძიებდე და პოვებდეო», და ხარტონმაც იპოვა აღმზრდელის ღირსეული კანდიდატურა—ნორა. იზრდებოდნენ ბავშვები, დასტაქრობდნენ—მარიამი და ხარტონი, ძიძობდა ნორა. თვეს თვე ცვლიდა, წელიწადს—წელიწადი.

ერთ მშვენიერ დღეს ხარტონმა ნორას განუცხადა: სანთელივით ჩამოვდნი შენი სიყვარულით, შენს იქით გზა არა მაქვს, ჩემი უნდა გახდეთ.

— მერე მარიამი?—მიამიტად, და იმ წუთს იქნება გულწრფელად, იკითხა ნორამ.

— ვინაა მარიამი?! მე შენზე ამომდის მზე და მთვარი—იყვია, ვნებააშლილმა ხარტონმა და ნებით თუ ძალით, ნორაც დანებდა... გაჩნდა ოჯახში ოჯახი... და ხარტონმა განაგრძო ორ ცოლთან განცხრომა—შტატინთან და უშტატოსთან. ასე და ამნაირად, წელს ცვლიდა წელი, განცხრომას—განცხრომა და მეფობდა სიამე.

მაგრამ მარიამმაც გაიგო ეს ამბავი, ატყდა ჩხუბი და აყალბაყალი. ხარტონი მიჰყვა ანლაზურ სიბრძნეს: გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო და რაიონში წავიდა სამუშაოდ. ნორაც, რაღა საკითხავია, თან გაიყოლა. ჰოდა, ვიღას გაახსენდებოდა ნაშვილები ქალ-ვაჟი, რომლებსაც ამ დროისათვის თოთხმეტი წელი შეუსრულდათ? ცელქი და დაუდგარი გოგონა არაერთხელ ყოფილა ხარტონისა და ნორას საიდუმლო ღალატის მოწმე, ენასისინა მეზობლების წყალობით ისიც შეიტყო, რომ მარიამი და ხარტონი მისი ღვიძლი მშობლები არ არიან და აიშვა..

კვირა კვირას მოსდევდა, თვეს—თვე, იშვებდნენ და ხარობდნენ ხარტონი და ნორა, თავის ბედს დასტიროდა მარიამი და, ვინ იცის როგორ იზრდებოდნენ ბედის ანაბარად მიტოვებული ბავშვები?

და აი, ერთ საღამოს ქალიშვილმა მარიამს განუცხადა—გაკვეთილების ცხრილის გადასაწერად ამხანაგთან მივდივარო. წავიდა და იმ საღამოს აღარ მობრუნებულა.

სად იყო იგი?

რამდენიმე დღის წინ მან ქალაქ ორჯონიკიძედან ჩამოსული ვიღაცა «გოგონა» გაიცნო, რომელიც ვითომდა თავისი «ბიძის», 35 წლის პეტია მღებავის, იგივე პეტია სარქისოვის სახლში ცხოვრობდა. ამ «გოგონას» გაჰყვა კინოში, მერე ახალგაზრდა მგობარმა ურჩია ღამე ჩემთან გაათეო და ისიც დათანხმდა... მღებავის სახლს მიადგნენ ორჯონიკიძელი გოგონა «ბიძამისს» ჩაუგორდა ლოგინში, ხარტონის შვილსაც უთხრეს, შენც დაწეო და მასაც ბევრი არ უფიქრია, ჩაწვა მათთან ერთად და პეტია მღებავმა «დამსახურებულად» ისარგებლა პირველი ღამის უფლებით...

პირველ ღამეს მეორე მოყვა, მეორეს—მესამე... ორჯონიკიძელი «გოგონა» მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა «სამოღვაწეოდ», ხარტონის ქალიშვილი კი გულის ვარდად დარჩა პეტია მღებავს. ჰოდა, მალე პეტია მღებავის გულის ვარდმა ისეთ «წარმატებას» მიადწია, რომ იწყო ხელიდან ხელში გადასვლა, როგორც ხელიხელსაგომანებელმა მარგალიტმა.

თბილისური მშვიდი საღამოა. ლერმონტოვის ქუჩაზე საეჭვო სვლით მიმავალ უკვე 15 წლის ნადრევად დაქალბულ ქალიშვილს ერთ-ერთი შემთხვევითი თავყვანისმცემელი წამოეწევა და ხელს ხტაცებს. ქალიშვილი აკივლდება გველნაკბენივით. თითქოს მიწიდან ამოძვარაო, გამოჩნდება მილიციის მუშაკი და დამნაშავესა და დაზარალებულს მილიციის განყოფილებაში ამოაყოფინებს თავს.

— გვარი? სახელი? მამის სახელი?

ივსება ანკეტა. სამართლებდა ბრალდებული და გაუპატიურების მცდელობისათვის ათი წლით თავისუფლების აღკვეთა ესჯება.

ხელიხელსაგომანებელ ქალიშვილს კი გასული წლის დეკემბერში, როცა იგი 16 წლისა გახდა, ისევ მღებავი პეტიას სარეცელზე წასწრებენ... მღებავი პეტია სამართალში ეძლევა არასრულწლოვანის გაუპატიურებისა და ზნეობრივი გახრწნილებისათვის და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ესჯება.

უმეტველყურეო ბავშვთა მომწყობი კომისია იბარებს ხარტონსა და მარიამს და მოსთხოვს ბირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ჩაიბარონ ქალიშვილი, მაგრამ ისინი ორსული შვილის წაყვანაზე ხარტონის გულივით ცივ უარს აცხადებენ.

კომისია ადგენს: აბორტი გაუკეთდეს გზას ამცდარ ბავშვს და მერე ბავშვთა აღმზრდელობით კოლონიაში გაიგზავნოსო.

უბატრონო ქალიშვილი უბატრონოდ არ დარჩება, მაგრამ, საკითხავია, რა პირით ატარებენ საბჭოთა მოქალაქის საპატიო სახელს უღირსი აღმზრდელეზი—ხარტონი და მარიამი?

ცემა გემართებს გამზრდელისა, რა ყმა ვნახოთ ავად ზრდილიო,—უთქვამს ბრძენს, მაგრამ ხარტონ და მარიამ კინწურაშვილების, როგორც ცუდად ზრდილი შვილის გამზრდელეზის ცემა, საკითხავია, ვინ უნდა იკისროს?





საქართველო  
ბიბლიოთეკა

# ერთგულების

# გამოცდა



ნახ. ჯ. ლოლუაბი

— დიდი ცნობისმოყვარე ქალია.  
— ვიცი, ვიცი, შვილები გამოცდებიდან ცნობებით გაათავისუფლდა!

ის იყო ინათა, რომ ფოსტის გამგე ჭიჭიკო თავის მეგობარს სკოლის დირექტორ იაკინტეს მიადგა სახლში.

— კაცო, ადექი, საქმეს მიხედვით, თორემ თავი მოგეჭრება; რაიონიდან საიღუმლოდ შემატყობინეს, რომ შენთან კომისია მოდის.

კომისიის ხსენებაზე იაკინტე ერთბაშად გამოფხიზლდა და ხელი სტაცა დეპეშას:

„სამინისტროდან კომისია მოდის იაკინტემ ბაღს ხელი მოუშარტოს პაჭუ“.

— რის ბალი, რა ბალი... არაფერი მესმის!—მხრები აიჩჩია იაკინტემ.

— ალბათ, კომისიის წევრები სკოლის ბაღის შესამოწმებლად მოდიან.

— კი მაგრამ, იმ გახრიკებულ ეზოში ერთი წაქცეული ტყემლის მეტი არაფერი დგას და რაღა მეშველება?!—ამოიკვნესა იაკინტემ.

— ვაი შენს პატრონს!!! კომისია ხვალამდე არ ჩამოვა, მანამ, შეკაცო, სკოლის ეზო ედემის ბაღად შეიძლება გადაკეთდეს.

— რანაირად, ჭიჭიკო?—ამოიგმინა იაკინტემ და ორივე ხელი თავზე წაივლო.

— რანაირად?!—ჩაიხითხითა ჭიჭიკომ.—„ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისაო“, გაგიგონია?.. ფოსტის ბალი ერთი დღით შენი ფეშქაში იყოს!.. მოუყარე თავი შენს მოსწავლეებს და პედპერსონალს, მოათხრევიანე ორმოები და მზამზარეული ხეები გადაიტანე იმ ორმოებში.

— ჭიჭიკო, ძმაო, შენი კეთილი გულის ქირიმე, შენი!—წამოიყვირა გახარებულმა იაკინტემ და სახე დაუკოცნა მეგობარს.

იმ დღეს დიდი და პატარა სკოლის ეზოში იყო გამოფენილი. საღამოსთვის კი, როცა მთელი სამუშაოები დამთავრდა, ახლად-გამოჩეკილი ბალით ალტაცებული

ხალხი გვიან ღამემდე არ დაშლილა.

ის იყო ინათა, რომ ჭიჭიკო ისევ მიადგა მეგობარს ქაქანით:

— იაკინტე, ე კაცო, არიქა, კომისია მოდის!

— მოვიდნენ, ბატონო, მობრძანდნენ... მოუკვდეთ ჩემი თავი...—უდარდელად წაიღულუნა ნამძინარევა იაკინტემ და გვერდი შეინაცვლა.

— იაკინტე!—აკანკალდა ჭიჭიკო.—არ გამომჭრა ყელი, მოუხმე ისევ იმ შენს ბაღებს და დამიბრუნე ბალი.

— რაო?!—წამოიჭრა ლოგინიდან სახეანთებული იაკინტე.—არ გეკადრება, ჭიჭიკო ჩემო, ამგვარი ხუმრობა.

— რა დროს ხუმრობაა, კაცი აღარ ვარ, ვერ მატყობ?... კომისია ჩემთან მოდის, თურმე.

— შენთან მოდის?! კი, მაგრამ დეპეშა... იქ ხომ ეწერა...

— შევცდი, იაკინტე, შეხედე, თურმე როგორ უნდა წამეკითხა ის დეპეშა: „სამინისტროდან კომისია მოდის მიაკითხე ლაშხს ხელი მოგიშარტოს პაჭუ...“ ლაშხს მიაკითხეო, სასადილოს გამგეს, მე კი...

— აუ, დალუპულხარ და ეს არის.—ჩაიქნია იაკინტემ ხელი.

— იაკინტე!—გაფითრდა ჭიჭიკო.—ბალი დამიბრუნე!

— ჭიჭიკო, მეც რომ მოვიდნომო, ნუთუ შენი მტრედის გული ნებას მოგცემს ის ედემის ბალი დამანგრევიანო?! აღმასკომს რამენაირად ორ-სამ ძირ ტყემალს გამოვყოფინებ და ფოსტის ბაღს მეტი არც უნდა.—ლულუნით უთხრა იაკინტემ,—შე გლახა, ცხოვრებას შეაბერდი და ეს რა დაგემართა, როგორ შევციდი, ჰა?

— შენგან არ მიკვირს, კიდევ აქეთ რომ მისაყვედურებ?...—მწარედ ამოიოხრა ჭიჭიკომ და ოთახიდან გავარდა.

ნანა კანდელაკი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: ა. ბელაშვილი, დ. გაბაშვილი, ხ. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე. ხაქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—8-76-69, ხაერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 13. ხელმოწ. დასაბ. 3/VII-1958 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვფ. № 745. უფ. 04007. ტირ. 40.000.





ქაზადის აპერიკული ნახი

— იხე კარგად დაუკრა, რომ აუდიტორია მთლიანად დაიბურო.  
 — ეგ კარგია, მაგრამ ჩვენმა ახალგაზრდობამ ახლა სხვანაირ  
 დაკვრასა და დაბურობაზე უნდა იფიქროს.